



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

### თოფჩიშვილი მირიან ვლადიმერის ძე



თოფჩიშვილი მირიან ვლადიმერის ძე (10.III.1935, თბილისი, - 2023, იქვე), გეოლოგი. საქართველო. მეცნიერ. ეროვნული აკად. წ.-კორ. (1997). გეოლ.-მინერალოგიის მეცნი. დოქტორი (1992), პროფესორი (1993). 1958 დაამთავრა სპი. 1959-იდან მუშაობს ა. ჯანელიძის სახ. გეოლ. ინ-ტში. იყო სტრატეგრაფიის და პალეონტოლ. სექტორის ხელმძღვანელი (1992-95), გეოლოგიის ინ-ტის დირექტორი (1995-2006); 2006-იდან ამავე ინ-ტის მთ. მეცნიერი თანამშრომელია.

#### მ. თოფჩიშვილი

თ-ის შრომები ეხება კავკასიის, ძირითადად საქართველო. ქვედაიურულ-აალენური ნალექების სტრატეგრაფიისა და პალეონტ. პრობლემებს. განამარხებული ფაუნის ნაშთების შესწავლის საფუძველზე სრულიად ახლებურად გადაჭრა აღნიშნული ნალექების სტრატეგრაფიის საკვანძო საკითხები. კერძოდ, პალეოორგანიზმების ახალმა მასალამ განაპირობა ზოგიერთი ადგილ. სტრატეგრაფიული ქვედანაყოფის ასაკის ახლებური ინტერპრეტაცია. განახორციელა ადგილობრივი გეოლ. ჭრილების კორელაცია სტანდ. სტრატეგრაფიული სკალის ქვედანაყოფებთან და დაადგინა ბიოსტრატეგრაფიული ზონების არსებობა. გამოყო რვა საერთაშ. და სამი პროვ. რეგიონალური ზონა (ლონა), ქვედაიურულ-აალენურ ასაკის ნალექებში კი - 12 სტრუქტურულ-ფაციესური ზონა. თითოეული მათგანისთვის შეიმუშავა ადგილ. სტრატეგრაფიული სქემა, რ-ებშიც აისახა გარკვეული ტიპის ქანების და არსებული ფაუნის ასოციაციების კანონზომიერი ცვლა დროში.

თ-მა ახ. ინტერპრეტაციით წარმოადგინა საქართვე. ტერიტორიის გეოლ. განვითარების კანონზომიერებანი ადრეიურულ და აალენურ დროში; აღადგინა აგრეთვე მოლუსკების არქისტრათიგრაფიული ჯგუფის – ამონიტების შიდა ხვეულების ცალკეული სტრუქტურის წარმოშობისა და განვითარების გზები, რაც წარმატებით გამოიყენება თავფეხიანი მოლუსკების სისტემატიკაში. მიღებული მეცნ. შედეგები ფართოდ გამოიყენება პრაქტ. გეოლოგიაში.

თ. არის რუს. საბუნებისმეტყველო მეცნ. აკადემიის (2006) და მინერ. ნედლეულის მეცნ. საერთაშ. აკადემიის (1997) აკადემიკოსი; საქართვე. სტრათიგრაფიული კომიტეტის თავმჯდომარე (2000); რუს. პალეონტოლ. საზ-ბის ნამდვილი წევრი (1987); საერთაშ. ჟურნალების „Стратиграфия и седиментология нефтегазоносных бассейнов“ და ჟურნ. „საქართველოს ნავთობისა და გაზის“ სამეცნ. საბჭოს და რედკოლეგიის წევრი. მონოგრაფიისათვის „Стратиграфия нижнеюрских и ааленских отложений Грузии“ თ-ს მიენიჭა აკად. ა. ჯანელიძის სახ. პრემია (1996). დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2000).

*თბზ.*: Стратиграфия и фауна нижнеюрских отложений Дзирульского массива «Труды ГИН АН ГССР». Новая серия, 1969, вып. 21; Нижнеюрско-ааленские аммониты Большого Кавказа в пределах Грузии იქვე, Новая серия 1990, вып. 100; Стратиграфия нижнеюрских и ааленских отложений Грузии იქვე, Новая серия 1996, вып. 108; Стратиграфия юрских отложений Грузии იქვე, Новая серия 2006, вып. 122 (თანაავტ.); Biostratigraphic characterization of Lower Jurassic deposits of Georgia by Ammonites, «Spain Cuadernos Iberica», 1998, №24.

**ვ. მესაშვილი**

---